PDF Eraser Free

დანართი №2

სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

მანანა მოისწრაფიშვილი

წევრი:

მანანა კობალაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

ა.წ. 6 ივლისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 15 ივნისს N 470436 ბრძანების შესაბამისად სსიპ კოლეჯში ,,თეთნულდი“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მესამე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“ დამატების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით, რომელიც დადგენილი წესის მიხედვით გაცნობილი იყო დაწესებულება წინასწარ.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, ადგილზე დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით და სხვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა ქ.მესტიაში.

სსიპ კოლეჯ „თეთნულდს“ ავტორიზაცია 6 წლით აქვს მოპოვებული 2019 წლის 29 აგვისტოდან.

დაწესებულების წარმომადგენლების მიერ ვიზიტის დროს ხდებოდა კონსტრუქციული და საქმიანი თანამშრომლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

–

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2019 წლის 22, 23 და 24 ივლისს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები:

ქვესტანდარტი 1.1

- რეკომენდირებულია პროგრამებს ჰყავდეს პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც ჩაერთვებიან პროგრამების შემუშავებაში/ადაპტირებაში;
- სასურველია დაწესებულებამ გააფორმოს შრომითი ხელშეკრულებები სხვა პროფესიულ მასწავლებლებთანაც, რომ არ დადგეს საფრთხის ქვეშ პროგრამებისმდგრადობის საკითხი (წარმოდგენილი პროგრამების პროფესიული და დარგობრივი მოდულების განმახორციელებლად დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს თითო-თითო პროფესიულ მასწავლებელთან(ერთკაციანი პროგრამები));
- „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში შეტანის პროცედურის წესის“ თანახმად, სასწავლო გეგმა ყველა პროგრამისთვის უნდა შეიქმნას იმგვარად, რომ წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს ორკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა, ან ცვლილება შევიდეს წესში და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო გეგმასთან;
- მოდულში მიეთითოს მოდულის განხორციელების ადგილი და აუდიტორია, როგორც ეს გაწერილია „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესში“, ან შევიდეს ცვლილება წესში რომ შესაბამისობაში მოვიდეს მოდულებთან;
- მოხდეს მოდულების ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ორგანიზების ნაწილში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სასურველია წინსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის ინტერვალი შესაბამისობაში მოვიდეს კოლეჯის რეგულაციასთან „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი“
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვის“ სასწავლო გეგმაში პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა (დამოუკიდებელი საათების ჩათვლით) შესაბამისობაში მოვიდეს კოლეჯის მიერ შემუშავებულ რეგულაციასთან „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი“;

ქვესტანდარტი 2.3

- გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურაში.

ქვესტანდარტი 2.9

- კოლეჯი „თეთნულდის“ 2019 წლის სამოქმედო გეგმაში გაიწეროს სტრატეგიული მიზნის შესრულებისთვის საჭირო რესურსი;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები განთავსდეს დაწესებულების ვებგვრდზე;

ქვესტანდარტი 3.3

- წარმოდგენილი პროგრამებისთვის საჭირო ყველა პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებული იქნება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პირობები არა მხოლოდ უქმე დღეებში შესრულებულ სამუშაოზე, არამედ კვირის განმავლობაში 40 საათზე მეტი სამუშაოს შესრულებაზეც.
- ხელშეკრულების 3.4 პუნქტიდან ამოღებული იქნება ჩანაწერი „განკარგულება“, ვინაიდან ასეთ შიდა სამართლებრივ აქტს საერთოდ არ იღებს კოლეჯი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შრომითი ხელშეკრულების მე-7 პუნქტში მოხდება ტექნიკური უზუსტობის გასწორება, კერძოდ, შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტის საფუძვლად არ უნდა იყოს მითითებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ვინაიდან აღნიშნული სამართლებრივი აქტის მოქმედება კოლეჯის ადამიანურ რესურსზე არ ვცელდება;
- შრომით ხელშეკრულებებში მიეითოს პროგრამის/მოდულისდასახელება;
- შრომით ხელშეკრულებებში/დანიშვნის აქტებში „მასწავლებლის“ და /ან „პედაგოგის“ ნაცვლად ჩაიწეროს „პროფესიული განათლების მასწავლებელი“.
- სასურველია ხელშეკრულებებში მიეთითოს სამუშაოს შესრულების ადგილი. თუმცა კოლეჯის რეგულაციით, ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დაწესებულების „შინაგანაწესი“, სადაც მითითებულია სამუშაოს შესრულების ადგილი.

დაწესებულების მიერ ქვესტანდარტების 1.1; 2.3; 2.9 და 3.3 - ს გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი - **შესრულებულია.**

კერძოდ: დაწესებულებამ ბრძანებით დანიშნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის მიზნით განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა თითოეულ პროგრამებაზე ერთზე მეტია; მოდულებში მითითებულია განხორცილების ადგილი და მასში მითითებულ ლიტერატურაში გასწორებულია ტექნიკური უზუსტობები; სამოქმედო 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე (http://tetnuldi.edu.ge/about-college__trashed/normative-acts/; გათვალისწინებულია შრომით ხელშეკრულებაში ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პირობები არა მხოლოდ უქმე დღეებში შესრულებულ სამუშაოზე, არამედ კვირის განმავლობაში 40 საათზე მეტი სამუშაოს შესრულებაზეც; შრომით ხელშეკრულებაში პროგრამების / მოდულების დასახელება მითითებულია; გამოყენებულია ტერმინი პროფესიული განათლების მასწავლებელი ნაცვლად პედაგოგისა / მასწავლებლისა; გასწორებულია ხელშეკრულების მე-7 პუნქტში ტექნიკური უზუსტობა „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის“ საფუძვლად მითითება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციის თანახმად ექსპერტებმა მიიჩნიეს რომ ხელშეკრულებაში სასურველი იყო გაჩენილიყო სამუშაოს შესრულების ადგილი, თუმცა კოლეჯის რეგულაციით, ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წამოადგენს დაწესებულების შინაგანაწესი, სადაც მითითებულია სამუშაოს შესრულების ადგილი - **ჩანაწერი ახალ ხელშეკრულებებშიც რჩება.**
- **ხელშეკრულების 3.4** პუნქტიდან ამოღებული იქნება ჩანაწერი „განკარგულება“, გამომდინარე იქიდან, რომ ასეთ შიდა სამართლებრივ აქტს საერთოდ არ იღებს კოლეჯი - **არა არის გათვალისწინებული და გვხვდება ახალ ხელშეკრულებებშიც - (მუხლი 3 – 3.3 ქვეპუნტი);**

რეკომენდაცია „წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს ორკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა“ - მარეგულირებელი წესის თანახმად რეკომენდაცია გათვალისწინებულია, თუმცა მარეგულირებელ დოკუმენტებში მცირეოდენი უზუსტობებია, რაზეც მიმდინარე ვიზიტის დროს გაიცა რეკომენდაცია **(იხ. რომ 2.4.2.(1)).**

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები

2.2.1.(1)

დაწესებულების მიერ წარმოადგენილი საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება “ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალი შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ იქნა შესყიდვებთან დაკავშირებული შესაბამისი ინვოისები და გშესაბამისობისგეგმა. შესაბამისობის <u>გეგმის მიხედვით დაწესებულება გეგმავს მატერიალური რესურსების შესყიდვის დასრულებას ა.წ. ოქტომბერში, ხოლო სასწავლო პროცესისთვის აღნიშნული რესურსი ესაჭიროება სწავლების 23-ე კვირიდან, ე.ი. დაგეგმილი დროიდან დაახლოებით 5 თვის შემდეგ. შესაბამისად, დაწესებულება დანამდვილებით უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის შეუფერხებელ</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სწავლებას. დაწესებულების მიერ 2.2.1 კრიტერიუმის პირველი ინდიკატორის მიხედვით შეფასებული იყო მეტწილ შესაბამისობად, რასაც ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება.

განვითარების რეკომენდაციები

2.2.1. (1)

სასურველია მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ განხორციელდეს პროფესიული სტუდენტებისთვის მიზნობრივი ექსკურსიის ორგანიზება საწარმოში, რათა ისინი გაეცნონ საწარმოს მუშაობის სპეციფიკას;

2.2.1. (3)

მიუხედავად იმისა, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მაღალი ხარისხით წარმართვისთვის სასურველია პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარონ „პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის კურსი“;

2.2.1. (4)

სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის შემუშავდეს თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაო აღწერილობა, რომელშიც უფრო დეტალურად გაიწერება მისი ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საჭირო უნარები;

2.3.1.(1)

მნიშვნელოვანია დაწესებულებას პროგრამების განვითარების კონტექსტში ერთერთ მთავარ ორიენტირად გათვალისწინებული ჰქონდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი, რაც სასურველია უფრო დეტალურად გაიწეროს სსიპ-კოლეჯის „თეთნულდი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემაში.

2.4.2.(1)

„პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-3 მუხლის და მე-10 მუხლის პირობები უნდა მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში და აღმოიფხვრას მცირე უზუსტობა, რომელიც ეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტის შერჩევაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

„პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-9 მუხლის და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლის პირობები, რომლითაც რეგულირდება პროფესიული სტუდენტების დამატებით (განმეორებით) შეფასების პირობები და ვადები, უნდა დაზუსტდეს და ერთმანეთთან მოვიდეს შესაბამისობაში. სასურველია აღნიშნული ჩანაწერის ფორმულირება დაიხვეწოს, გახდეს უფრო მარტივად გასაგები და მიეთითოს განმეორებით გამოცდაზე გამოყენებული ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაცია და ნამუშევრის გასწორების ვადებიც.

2.4.2.(1)

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის დოკუმენტი შემუშავებულია, რითიც დაკმაყოფილებულია 2.4.2-ის მე-2 ინდიკატორის სრული შესაბამისობა, თუმცა სასურველია აღნიშნული დოკუმენტი დაიხვეწოს, წინასწარი შეფასების საფუძველზე განისაზღვროს ვერიფიკატორის სამუშაოს მოცულობა და არსებული რესურსები და ამის გათვალისწინებით დადგინდეს რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი, რისკების ანალიზის საფუძველზე შეირჩეს ის ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, რომელთა ვერიფიკაციაც აუცილებელია.. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მასში დეტალურად გაიწეროს შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის №02/09 ბრძანება, 22.04.2020 წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. მესტია,ე ფარჯიანის ქ. №25
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 პროფესიული სტუდენტი, მოდულური, მის:ქ. მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება”განხორციელების დასაბუთება ითვალისწინებს რეგიონის განვითარების გეგმის მოთხოვნებსა და კოლეჯის რესურსების საკმარისობას. სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“ წარმოადგენს მრავალპროფილურ სასწავლო დაწესებულებას, მისიის მიხედვით მაღალმთიანი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე ორიენტირებულია მოამზადოს ,,სამეწარმეო და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი სპეციალისტები და ამით ხელი შეუწყოს რეგიონის, ქვეყნის ეკონომიკურ განვცითარებას/სტაბილურობას“. შესაბამისად, საავტორიზაციოდ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება“ შესაბამისობაშია მისიასთან.
   კოლეჯის სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმების შესწავლით დადგინდა, რომ ისინი ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების განსაზღვრას და განხორციელებას. შესაბამისად, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება” განხორციელება ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას.
2. სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სამკერვალო წარმოება“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან - საბაზო განათლება და უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება პროფესიული ტესტირების შედეგების და დაწესებულებაში დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების ჩარიცხვა ხდება პროფესიის მოსინჯვის საფუძველზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.
3. პროგრამაზე კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შეესაბამება კოლეჯის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და კოლეჯის რესურსებს.
   სსიპ კოლეჯ ,,თეთნულდის“ დირექტორის მიერ 2020 წლის 8 აპრილის N02/04 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგიის მიხედვით დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:
   ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
   ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გ) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (დუალური სწავლების შემთხვევაში);

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;

ე) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი.

მეთოდოლოგიაში ასევე აღნიშნულია, რომ ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. განსახილველ პროგრამაზე თითო ჯგუფში განსაზღვრულია 15-15 პროფესიული სტუდენტი, რაც შეესაბამება პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის პირობებს. მხედველობაში

4. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება"განხორციელებისთვის მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სამკერვალო წარმოება" არჩევითი მოდულები არ აქვს.
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია 2020 წლის 4 მაისს დაწესებულების კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N02/18, რომლის უფლებამოსილება დასტურდება დოკუმენტის ,,სსიპ - კოლეჯის „თეთნულდი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის" მეოთხე მუხლის ,,პროგრამის დამტკიცება" მეოთხე პუნქტის შესაბამისად.
7. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება ,,სამკერვალო წარმოება" შეესაბამება პროგრამის შინაარსს, წინასწარ დაგეგმილ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. სსიპ კოლეჯი „თეთნულდის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება"შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, პროგრამა მოიცავს ყველა ზოგად და პროფესიულ მოდულებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მისია http://tetnuldi.edu.ge/
- სტრატეგიული გეგმა http://tetnuldi.edu.ge/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%94%e1%83%92%e1%83%98%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%92%e1%83%94%e1%83%92%e1%83%9b%e1%83%90/;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“;
- ,,სსიპ - კოლეჯის „თეთნულდი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“, დამტკიცებული 2020 წლის 15 აპრილს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N02/09;
- პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება”განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, დამტკიცებული 2020 წლის 8 აპრილს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N02/04 ;
- 2020 წლის 4 მაისის დაწესებულების კოლეჯის დირექტორის ბრძანება N02/18 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“ დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 8 აპრილის N02/04 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის წესი“. ვიზიტისას კოლეჯმა წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება “ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ იქნა შესყიდვებთან დაკავშირებული შესაბამისი ინვოისები და შესაბამისობის გეგმა. <u>შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება გეგმავს მატერიალური რესურსების შესყიდვის დასრულებას ა.წ. ოქტომბერში, ხოლო სასწავლო პროცესისთვის აღნიშნული რესურსი ესაჭიროება სწავლების 23-ე კვირიდან, ე.ი. დაგეგმილი დროიდან დაახლოებით 5 თვის შემდეგ. შესაბამისად, დაწესებულება დანამდვილებით უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის შეუფერხებელ სწავლებას</u>. დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული A/B/C გარემო, რომლის აღჭურვასაც გეგმავს სათანადო ინვენტარით და მატერიალურ ტექნიკური ბაზით. დაწესებულების მიერ 2.2.1 კრიტერიუმის პირველი ინდიკატორის მიხედვით შეფასებული იყო მეტწილ შესაბამისობად, რასაც ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს, თითო ჯგუფში 15-15 პროფესიული სტუდენტი თითო ნაკადზე და მისი განსაზღვრა შეესაბამება დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“ სწავლების ხანგრძლივობა არის 70 კვირა, მეორე ნაკადის მიღების შემთხვევაში C გარემოს გამტარობა უზრუნველყოფს ორ ჯგუფზე სახელობო სწავლებას, ვინაიდან სახელოსნოს კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 სთ და შესაძლებელია ცხრილებით რეგულირება.

მოდული ,,საწარმოო პრაქტიკა“ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევ შედეგებს, ვინაიდან დაწესებულება განთავსებულია მაღალმთიან რეგიონში და მიუხედავად საჭიროებისა, კოლეჯის სიახლოვეს არ მდებარეობს სამკერვალო საწარმოები, თუმცა მოთხოვნა სპეციალისტებზე რეალურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

არსებობს რეგიონის ტურისტული ბიზნესის სწრაფი განვითარების ტემპების გამო. ამიტომ, აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია კოლეჯის ბაზაზე, რაც ექსპერტთა შეფასებით შესაძლებელია. თუმცა, ***სასურველია მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ განხორციელდეს პროფესიული სტუდენტებისთვის მიზნობრივი ექსკურსიის ორგანიზება საწარმოში, რათა ისინი გაეცნონ საწარმოს მუშაობის სპეციფიკას.***

2. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულების განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 3 პროფესიული მასწავლებელი. აქედან გამომდინარე, პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები, კვირეული საათობრივი დატვირთვა და დადასტურდა მათი შესაბამისობა.

3. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სამკერვალო წარმოება“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში პროგრამის განმახორციელებ პირებს წარმოდგენილი დოკუმენტაციით უდასტურდებათ დარგის შესაბამისობა. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა მათთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას თვალნათელი იყო, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარსს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ ინტერაქტიული სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ. პროფესიული მოდულების განმახორციელებლები აღნიშნავდნენ, რომ ჰქონდათ საგნობრივი პროგრამების გამოცდილება, აცნობიერებენ მოდულური პროგრამების სწავლების სპეციფიურობას და გამოთქვამდნენ მზაობას დამატებით ტრენინგებში მონაწილეობისთვის. ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით, ***მიუხედავად იმისა, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მაღალი ხარისხით წარმართვისთვის სასურველია პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარონ ტრენინგები მოდულური სწავლების სპეციფიკაში.***

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმითა და ინტერვიუთი. იგი დანიშნულია დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 04 მაისის №02.19 ბრძანებით და მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამაში.

დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/09 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის“ მე-5 მუხლი განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კოორდინაციის, განხორციელების, განვითარებისა და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანის პროცესების ხელმძღვანელობა.

ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის შემუშავდეს თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაო აღწერილობა, რომელშიც უფრო დეტალურად გაიწერება მისი ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საჭირო უნარები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. ექსპერტთა შეფასებით „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით.

2020 წლის 16 აპრილის N 02/10 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკარის კვალიფიციურობა დასტურდება მისი პირადი საქმით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანთლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა, ისინი შეესაბამება მოდულებში მითითებულ ჩამონათვალს და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ასევე, ჩატარდა დაწესებულების ბიბლიოთეკართან გასაუბრება.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, რაც დასტურდება სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 15/04 /2020 წლის N02/08 ბრძანებით სსიპ - კოლეჯის ,,თეთნულდი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. ამ წესით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის. კოლეჯში მოწყობილია გარე პანდუსით და აღჭურვილია ლიფტით, შესაბამისად კოლეჯის ტერიტორიაზე შშმ პირს აქვს შეუზღუდავი გადაადგილების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ ისინი იცნობენ სსმ პირებისთვის სწავლების თავისებურებებს და აქვთ მზაობა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს როგორც მათი მხარდაჭერა, ასისტირება, ასევე, სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების კონკრეტული მოთხოვნილებების შესაბამისად; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში მას გონივრულ ვადებში შეადგენს კონკრეტული მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ერთად. ხარისხის მართვის მენეჯერი შეამოწმებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს. საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის ანალიზის (მტკიცებულებების) საფუძველზე, ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდამხარდამჭერი გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად,სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის დირექცია უზრუნველყოფს საჭირო დამატებითი სპეციალისტების დაქირავებასა და ადაპტირებული სასწავლო რესურსის შეძენას. დამატებითი მომსახურების თანხა დაიფარება ,,დანამატი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის“ გამოყოფილი თანხიდან.

7. „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია ვაუჩერული დაფინანსებით, რომლის საფუძველზე შემუშავებულია ბიუჯეტი. ვიზიტისას კოლეჯმა წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრულია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 89760 ლარი და ხარჯების ნაწილში - 89760 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს - შრომის ანაზღურებას 2226 სთ, ნედლეულისა და მასალის ხარჯებს, გაუთვალისწინებელ და პროგრამის ამორტიზაციის ხარჯებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის რენტაბელურობის ზღვარი დადგენილია 15 სტუდენტიანი ჯგუფის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“/მოდულები;
- ,,სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის წესი“, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,თეთნულდის“ დირექტორის 2020 წლის 8 აპრილის N02/04 ბრძანებით;
- სსიპ - კოლეჯის ,,თეთნულდი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,თეთნულდის“ დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/08 ბრძანებით;
- სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,თეთნულდის“ დირექტორის 2020 წლის 16 აპრილის N 02/10 ბრძანებით;
- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროფესიული პროგრამის მასწავლებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- ფაქტობრივი გარემოება.

<u>შეფასება:</u>

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვისა და მათი განვითარების მიზნით სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის №02/14 ბრძანებით დამტკიცებულია ,, ,,სსიპ-კოლეჯის ,,თეთნულდი“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელშიც გაწერილია ხარისხის მართვის პროცესი დემინგის ციკლი „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მიხედვით. მასში გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურეობის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან უკუკავშირი, ასევე სხვა სახის ინფორმაციის წყაროებზე დაყრდნობით, გაწეული მომსახურეობის, მათ შორის სწავლა-სწავლების და სტუდენტთა/მსმენელთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესის მონიტორინგი და შეფასება. ასევე, დირექტორის 2020 წლის 13 აპრილის №02/06 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსიპ-კოლეჯის ,,თეთნულდი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა”. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ხარისხის მართვის მენეჯერთან და პროგრამის განმახორციელებლეთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს პერიოდულ ზედამხედველობას პროგრამის მიმდინარეობაზე და შედეგების ანალიზის შედეგად დასახული იქნება მისი გაუმჯობესების გზები. მათ აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში მოხდება მოდულების თემატიკების, სასწავლო მეთოდებისა ან განხორციელების მიდგომების შეცვლა. აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია შესაძლებელია მიღებული იქნას პროცესში ჩართული ნებისმიერი პირისგან, როგორც პროფესიული სტუდენტისგან და პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მასწავლებლისგან, ასევე დამსაქმებლებისგან. დაწესებულება დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების ანალიზის შედეგების შეჯამებისა და პრობლემების იდენტიფიცირების საფუძველზე შეიმუშავებს განვითარების გეგმებს/სათანადო რეკომენდაციებს, არსებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე განხორციელდება პროგრამების მოდიფიცირება, სამიზნე ჯგუფების კონსულტირება /ტრენინგი, რეკომენდაციების მიცემა. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განორციელება იგეგმება შესაბამისი რეგულაციების შესაბამისად.

დამატების მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ახალია. დაწესებულებამ წარმოადგინა შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტაცია და ანალიზი.

ექსპერტთა მოსაზრებით ***მნიშვნელოვანია დაწესებულებას პროგრამების განვითარების კონტექსტში ერთერთ მთავარ ორიენტირად გათვალისწინებული ჰქონდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი, რაც სასურველია უფრო დეტალურად გაიწეროს სსიპ-კოლეჯის „თეთნულდი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემაში.***

2. დაწესებულებას შემუშავებულიაქვს პროგრამასა და მოდულებში ცვლილებების შეტანის წესები და პროცედურები. იგი გაწერილია ,,სსიპ - კოლეჯის „თეთნულდი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესში, რომელიც დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის №02/09 ბრძანებით. მასში ასახულია პროგრამის ცვლილების საფუძველი, პროცესი, ინიციატორი და ცვლილებების დამტკიცების წესი მის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი, კოლეჯის შემთხვევაში დირექტორი.

დამატების მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ახალია. შესაბამისად, მასში ცვლილებები არ განხორციელებულა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის №02/14 ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ-კოლეჯის ,,თეთნულდი“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის 2020 წლის 13 აპრილის №02/06 ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ-კოლეჯის ,,თეთნულდი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა”;
- სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის №02/09 ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ - კოლეჯის „თეთნულდი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“;
- შრომის ბაზრის კვლევის შედეგები;
- ხარისხის მართვის მენეჯერთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“ ახალია, წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით იგი განხორციელდება თანმიმდევრულად, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული მოდულების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის დაცვით; სასწავლო გეგმაში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის;
   პროგრამა, აგებულია დარგობრივი თვისებურებების გათვალისწინებით, მოდულები ადაპტირებულია და იგი განხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება კოლეჯში სასწავლო პროცესის წარმართვის არსებული პრაქტიკის გადამოწმებითა და დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგებით;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 15/04 /2020 წლის N02/08 ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ - კოლეჯის ,,თეთნულდი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.
3. ,,სამკერვალო წარმოების“ საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. .პროგრამაზე ,,სამკერვალო წარმოება“ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ დაწესებულება გეგმავს მათ გადამზადებას სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე და თანამედროვე ტექნოლოგიებზე. აღნიშნული ტრენინგები ჩატარდება როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე კოლეჯის ხარისხის უზრუნვეყოფის ჯგუფის მიერ.
   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გატვალისწინებული ყველა შედეგის მიღწევა დაგეგმილია დაწესებულების შენობაში და შესაბამისად არ აქვს თანამშრომლობითი ურთიერთობა პრაქტიკის ობიექტებთან. დაწესებულებას მიეცა რჩევა გაცნობითი პრაქტიკის მოდულისთვის უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტთან ხელშეკრულების გაფორმება, **იხ. კომპონენტი/კრიტერიუმი 2.2.1, ინდიკატორი 1.**
4. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით,,სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მექანიზმის მიხედვით; ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, რომლის ფარგლებშიც მათ აღნიშნეს, რომ ამ ეტაპამდე ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება არ ჰქონიათ.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან, რაც დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, **იხ. ამ კომპონენტის მე-3 ინდიკატორი;**
6. სსიპ კოლეჯში „თეთნულდი“ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“ ფარგლებში სპეციფიკური უსაფრთხოების წესები გამოკრულია C გარემოში და პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდებათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს გარემო და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“, სასწავლო გეგმა,მოდულები;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 15/04 /2020 წლის N02/08 ბრძანებით;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია როგორც სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი" დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/08 ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ - კოლეჯის ,,თეთნულდი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში", ასევე, სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი" დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/15 ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში". აღნიშული რეგულაციებში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია თუ პროცედურები და ვადები პროფესიულ სტუდენტთა განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობისა და რაოდენობის შესახებ.

საერთო ჯამში, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემა, რომელიც აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თუმცა ექსპერტთა ჯგუფს აქვს რამოდენიმე განმავითარებელი რეკომენდაცია:

„პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის" მე-3 მუხლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში შეფასების მიმართულების მიხედვით შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს არჩევენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი/ები, 10-ე მუხლის მიხედვით კი შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მხოლოდ მოდულის განმახორციელებელ პირს (პირებს).ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოდულების ადაპტირების დროს პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად არჩევს შეფასების მეთოდს, ხოლო უშუალოდ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი სწავლის შედეგის/შედეგების შეფასებამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის" მე-3 მუხლის და მე-10 მუხლის პირობები უნდა მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში და აღმოიფხვრას მცირე უზუსტობა, რომელიც ეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტის შერჩევაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას.

მცირეოდენი უზუსტობაა „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის" მე-9 მუხლისა და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" 10-ე მუხლით განსაზღვრულ პირობებშიც, რომელიც ეხება პროფესიული სტუდენტების განმეორებით შეფასებას. ერთ შემთხვევაში „განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს წერილობითი განცხადების საფუძველზე უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი (მაგ. სასწავლო და საწარმოო პროცესის მენეჯერი, ან სხვა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით, უფლებამოსილნი არის განსაზღვროს დამატებითი (განმეორებითი) შეფასების ვადები", ხოლო მეორე შემთხვევაში „მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ 10 სამუშაო დღის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდულის დასრულება) მოდულის განმახორციელებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ფორმით მიმართოს დირექციას და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება, სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, განმეორებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად.“

ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ ჩანაწერში დაშვებულია შეცდომა და დამატებით შეფასებასთან დაკავშირებით კოლეჯი იყენებს შემდეგ მიდგომას: თუ მოდული სხვა მოდულის წინაპირობაა, ამ შემთხვევაში ამ მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ 10 სამუშაო დღის ვადაში უნდა დაინიშნოს დამატებითი გამოცდა, ხოლო თუ მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, სტუდენტს პროგრამის დასრულებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს სწავლის შედეგების დადასტურება. შესაბამისად ცვლილება უნდა განხორციელდეს დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/08 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“, რომელშიც უფრო ნათლად უნდა გაიწეროს აღნიშნული პროცესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-9 მუხლის და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლის პირობები, რომლითაც რეგულირდება პროფესიული სტუდენტების დამატებით (განმეორებით) შეფასების პირობები და ვადები, უნდა დაზუსტდეს და ერთმანეთთან მოვიდეს შესაბამისობაში. სასურველია აღნიშნული ჩანაწერის ფორმულირება დაიხვეწოს, გახდეს უფრო მარტივად გასაგები და მიეთითოს განმეორებით გამოცდაზე გამოყენებული ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაცია და ნამუშევრის გასწორების ვადებიც.

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია როგორც სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის N02/08 ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ - კოლეჯის ,,თეთნულდი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“, ასევე, სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/15 ბრძანებით დამტკიცებულ ,,პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში“. აღნიშული რეგულაციებში გაწერილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი შეესაბამება შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და იგი დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, რაზეც როგორც ინტერვიუს ფარგლებში ხარისხის მართვის მენეჯერმა დაადასტურა თავად არის პასუხისმგებელი. რეგულაციებში გაწერილია ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირები და დოკუმენტების მიხედვით აღწერილი პროცესი ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავს.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ***პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის დოკუმენტი შემუშავებულია, რითიც დაკმაყოფილებულია 2.4.2-ის მე-2 ინდიკატორის სრული შესაბამისობა, თუმცა სასურველია აღნიშნული დოკუმენტი დაიხვეწოს, წინასწარი შეფასების საფუძველზე განისაზღვროს ვერიფიკატორის სამუშაოს მოცულობა და არსებული რესურსები და ამის გათვალისწინებით დადგინდეს რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი, რისკების ანალიზის საფუძველზე შეირჩეს ის ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, რომელთა ვერიფიკაციაც აუცილებელია.. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მასში დეტალურად გაიწეროს შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02/15 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-13 მუხლის თანახმად.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“, სასწავლო გეგმა,მოდულები;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 15/04 /2020 წლის N02/08 ბრძანებით;
- ,,პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“, დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 22/04 /2020 წლის N02/15 ბრძანებით;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

23.07.2020წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: